

რედაცია

მედიკამინოვის ქუჩაზე, ბრტყ ჩაიგეშტოვის სახლში.

ხელის-მოწერა

რედაკციაში და სტ. მედიკამინოვის სტამბაში. ძალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Вь Тифлисъ. Вь редакцію газеты „Дროება“.

გაზეთის უასი

წელიწადში—8 მან., ნახევარ წელიწადში—4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან. ცალკე ნომერი—ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

განცხადების უასი

ღიდი ასობით, ასობე—1 კაპ., ასო-შთაფრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაკცია გადაწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

# დროება

გამოდის კვირასობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

სამი თვის ხელის-მოწერა

## „დროებაზე“

მიიღება თფილისში—გაზეთის რედაკციაში (მელიამინოვის ქუჩაზე, ჩაიგეშტოვის სახლში, № 6); გარეშე ქალაქებში—„დროების“ აგენტებთან.

უასი სამის თვის გაზეთისა გ. ი. 1 ოქტომბრიდან მომავალი წლის 1 იანვრამდე—2 მან. 50 კაპ. მთელი წლის სრული ნომრები მხოლოდ რამდენიმე დარჩენილი, —ღირს—8 მან., ნახევარის წლის—4 მან. და 50 კაპ., ერთის თვისა—1 მან.

## საქართველო

### მეჯვრისხევის სახელოსნო შოკლა

ორი წელიწადი იქნება მას აქვთ, რაც 16 სოფლის საზოგადოებამ ზორის უბნში განაცხადეს: სურვილი, რომ თავის ხარჯით სასოფლო-სახელოსნო შოკლა გახსნან. ხენებულ თექვსმეტ საზოგადოებაში რვა სოფელი ღიდი-მეჯვრისხევის ახლომხლო მდებარეობს და რვა ცხალქალაქსა.

ამათი თხოვნა და თვითონ შოკლის წესდება წარდგენილი იყო უფ. თფილისის ლუბერნატორთან, რომელმაც ნება დართო და ამნიარად

შოკლის გახსნას არავითარი დაბრკოლება არ ჰქონდა. ამ თვის მს. გაიხსნა რვა საზოგადოებათა წარმომადგენლების, მორის უფლის უფროსისა და ზოგიერთი სხვა პირების თანდასწრებით.

მასწინათანავე მშ. მაგირდს განუცხადებიათ სურვილი შოკლაში სიარულისა და ამათ გარდა სასწავლებელთან გახსნილს პანსიონში 10 მაგირდი მიუღიათ.

რამდენათაც ჩვენ ვიცით, შოკლას მატერიალურის მხრით არავითარი დაბრკოლება არ მოელოს, რადგან ფულები ახლაც იმდენია მოგროვილი, რომ უკანასკნელ ორსამ წელიწადს კარგათ ეყოფა. გროშიც რომ არ შემოიტანონ ამ ხნის განმავლობაში სოფლებმა.

ჩვენ გვაქვს ხელში დამტკიცებული წესდება შოკლისა და დარწმუნებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ პროგრამა ნამდვილად აკმაყოფილებს სასოფლო შოკლის დანიშნულებას. შოკლაში უნდა ასწავლონ შემდეგი საგნები: სამღვთო წერილი, სამშობლო და რუსული წერა კითხვა, არითმეტიკა და ხ.ტ.ა. ამას გარდა უნდა ასწავლონ ხელობანი: დურგლობა, მჭედლობა და ხარაზობა; შემდეგ, იმედი აქვთ, მებაღობა-საც ასწავლიან.

მართის სიტყვით, საგნები ისეთია, როგორც სოფლის შოკლას შეეფერება და როგორც სოფლის ხალხისათვის საჭიროებას შეადგენს.

მაგრამ საქმე მართო პროგრამაში როდი მდგომარეობს; საქმე ამ პროგრამის ასრულებაშია; პროგრამაში შეიძლება მშვენიერი იყოს, მაგრამ თუ სინიღისინათ და ცოდნით არ ასრულეს თავიანთი წმინდა მოვალეობა იმ პირთ, რომელთაც შოკლა ექნება მინდობილი, არა გამოვა რა, შოკლა თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს. მეჯვრისხევის შოკლა—პირველი სახელოსნო შოკლა ჩვენში, რომელიც შართლში ხალხმა გახსნა თავის ხარჯით. იმ ამიტომ უფრო სასურველია, რომ ამ შოკლის საქმე თავიანთივე რიგინათ წავიდეს, რომ ამის მაგალითი სხვა სოფლებმაც მიბძვონ და იზრუნონ ამ საქმისათვის, რომელიც, უეჭველია, ერთ უმთავრესს საშუალებას შეადგენს ჩვენი ამ ქამად დაცემული ხალხის ყოველ მხრივ წინ-წაწევისათვის.

### ღიუჩი

მოკლულის ოსმლოს კონსულის თაობაზედ „თფილისის მოამბეში“

ქიმიასა სწავლობდა ხოლმე. არც ღიდი ხანია, რაც ის აქა ცხოვრობდა.

— მ.შ. ეს მარჯვნივ მხარეს რაღა კარებია?

— მს. ღენერლის ოთახია!

— მარცხნივ რაღა?

— მს. მის ღები ოთახია, სადაც თქვენ ეხლა უნდა მიბძანდეთ.

იმ კარების მარჯვნივ, რომელიც მისაღებ ოთახში შედიოდა, კედელში ხე იყო დარქმული, რომელზედაც ეკიდა ხავერდის და მაუდის ჩაფრკები, ოქრომკედით და ფერადი აბრეშუმის ძაფით შეკერილი, კიდევ რამდენიმე უნაგირი, ორი თუ სამი ცხენის ჩული, ავშრები, ადვირები, და ბოლოს კუნჭულში ეყუდა იტალიის ბაირალი.

ბასსამ შეაღო კარი და მე სადაც ბარიბალი იჯდა, იმ ოთახში შეველი.

იქას ეცვა შევ წინწკლებიანი თეთრი ჩითის პერანგი, ყელზედ შევიყელსახევეი ეხვია. თავზედ ეხურა ფრჩიანი წითელი ფესი, რომლის ქვეშ ც გრძელი და ქალარა თმები ჩანდა. წვერი შეკრეჭილი და ნახევარზედ სულ თითქმის ქალარა, და ამ ქალარა თმებში ოქროს ფერი თმებიც ერია.

იწერებინ, რომ ჩვენს ძალაქში მოსულა ბეჯედ-მჭენდის ძმა, რომელმან ც თავის ძმისა და რძლის გვაგებები სტამბოლს უნდა წაიღოსო.

### სიბუნებრივი საზოგადოება

შოთილამ გვატყობინებენ, რომ ამას წინათ რომ საშინელი ქარები იყო ჩვეში, იმ დროს თითქმის რაც კი რამ ნამუშევარი იყო შოთის პორტზე, სულ გადაუტყაო. საზოგადოათ აქაურები დარწმუნებულნი არიანო, გეწერს ჩვენი იქაური კორრესპონდენტი, რომ ამ ჩვენს პორტს გაკეთება არ ეღირსებაო.

### სუდი, ძალიან ცუდი ამბები მოგვივიდა შოთის ქალაქის საქალბო შოკლაზედ.

ბეწერენ, რომ ეს მცხუთე თვე არისო, რაც ამ შოკლის მასწავლებელ-ქალს ჯამაგირი არ მიუღიაო; საზოგადოათ შოკლა სრულებით უყურადღებოთ არის დაგდებული, კაცი არ ჰკითხულობს: როგორ მიღის იქ საქმე, როგორ ასწავლიან, რამდენი მაგირდია და სხვ.

ამ ღლებში ორჯელ დაეცნენ თურ-

და, ეს ფქვილი გასამინჯავათ მოეცნათ.

ამ სტოლის ზემით ჰკიდა ორი ძველი ბაირალი, რომელზედაც ერთ მწვანეზე კაცი ძლიერს წაიკითხა: „Viva L'Independenza“ და მეორე წითელზედ— „Viva popola“. მს ბაირალები კაცს წარსულ ცხოვრებას აგონებს. მართი ამათგანი ბარიბალდის ამერიკაში, მონტევიდეოში მიართვეს, ერთ ბრძოლის შედეგად 1846 წ. თებერვლის 8-სა ღღესა, როდესაც ბარიბალდი თავის 200 ვოლონტერით, რომასის 1200 სალდათმა მოიმწყვდია; თუმცა მტრის მხარეს უფრო მეტი ძალა იყო, მაგრამ მინც ბარიბალდის იმათი არ შეეშინდა, უკან არ დაიწავა და ხუთი საათის ბრძოლის შემდეგ მტერი დაამარცხა და გააქცია.

ღამინახა თუ არა ბარიბალდის, მაშინვე აიღო თავის დასაბჯენი ჯოხები, გადმოაღდა რამდენიმე ნაბიჯი და მომიშვირა ხელი; მე საჩქაროდ მივედი იმასთან. ჩემთანვე შემოვიდნენ გარიბალდიელი ჩემი თანამგზავრები; ამათ კი დამჯღარმა ჩამოართვა ხელი.

თუმცა სურვილი მქონდა, იმისა-

## ფელტონი

### რამდენიმე ღლი კაპარკაზედ \*)

(აღიქსანდრა იაკობი)

ისე უბრალოდ მოწყობილმა სამზარეულომ გამაკვირვა; იქ არც ერთი რიგინი ჰურჭელი არ იპოვებოდა, და ეს იმისთანა კაცის სახლში, რომელსაც მეფედ, დიქტატორად და პრეზიდენტად შეეძლო ყოფნა!

სამზარეულოდან ჩვენ ერთ პატარა ოთახში გამოვედით, სადაც თუნუქის დადი ვანა ადგა.

სწორეთ ჩვენ პირ-და-პირ ბაღის შესავალი კარი ღია იყო, სადაც ბუჩქებად ამოსული იყო ვეიაროსი, ღიმონის, ნუშის და სხვა ხეები; იქით კლდეებია, რომლის შუაგ სჩანდა თეთრი პატარა ქვითკირის სახლი.

— მს რა სახლია? ვკითხე მე ბასსოს.

— მს რჩიროტის სახლია; როდესაც ის აქა სცხოვრობდა, ამაში ლაბორატორია ჰქონდა გამართული, და

\*) „დროება“, № 112.



მე ვილაყ ავაზაკები ხსენებულ შკოლის მასწავლებელ-ქალს; ერთხელ ყველაფერი რაც კი რამ ჰქონდა ნივთიულობა და თუ სარეცხი, სულ წაიღეს და მეორედ ფულის წაღება უნდოდათ; ალბათ, არ იცოდნენ, რომ ეს ნახევარი წელიწადი მოდის, რაც ეს ქალი უჭამავროთ არისო!

ქვეთხევიდამ გეწერენ, რომ თვითონ ამ სოფელში და იმის ახლომახლო სოფლებში ამ ქადავსაშინელო ციებ-ცხელებს არის გავრცელებულიო. ამ ავთამყოფობას ხშირს ჰაეის ცელილებას აბრალებენ.

**„დროების“ კორექსიონი**

**ზამო-მართლი**, ღვინობისთვის 15 ს. ეს რა ცოდვის კითხვაა, რომ ჩვენს ხალხს კიდევ სჯერა მკითხაობა და სწამს მკითხაობის თვალთ-შაქცობა! რასაც ისინი სჩადიან, მოგესხნებათ, მაგრამ მინდა მინდა მოგახსენოთ რამდენიმე მაგალითი იმათი ქცივისა ხალხის შესახებ.

წრეულ ზაფხულს თითქმის ყოველ სოფელში ციებ-ცხელება იყო გახშირებული, ბევრი ავთამყოფები იყვნენ და ბევრმაც თქვენი ჭირი წაიღო; უმეტესი ნაწილი მკითხაობის მეოხებით გამოვსაღმა ამ წუთის სოფელს.

ამ ავთამყოფობის მორჩენა, როგორც მოგახსენებთ, ადვილია, მეტადრე მაშინ, როდესაც ახლო-მახლო მცოდნე ექიმი მოიპოვება და მეტადრე მაშინ, თუ დროზედ მოპკიდებს ხელს ექიმი. მაგრამ, საუბედუროთ, ჩვენს ხალხს ექიმებისა არა სჯერა რა, ავთამყოფს რომ ექიმი ე. ი. დოხტური მოგვეპოვოთ, საცდელ წამალს მისცემსო და იმითი

მოპკლამსო. ჩვენი მკითხაეი ამბობს, ავთამყოფს ამა-და-ამ ხატის მიზეზი აქესო და იქ უნდა წაიყვანოთ სალოცავთაო. მართლაც, მიმართვენ მკითხაეს და რასაც უთაებლობას ის მოუყვება თაეის სასარგებლოთ, სწორეთ ისა სჯერათ და იმას ასრულებენ ავთამყოფის პატრონები.

მკითხაეს ვითამ გული შესტიოდეს ავთამყოფისათვის ან იმის პატრონებისათვის? სრულიადაც არა; მხოლოთ იმასა ჰხრუნაეს, ხალხი მოდიოდეს ჩემთანა და გამარჩენა არ მომაკლდესო. როგორც უბრძანებს, ასე-და-ასე მოიქეციოთ, ამა-და-ამ წმინდანებს ულოცეთო, ესა-და-ეს მიართვიო, ამდენი ფული ზოგი შესწირეთ, ზოგი აქ დახარჯეთო, რომ ლოცვამ უწიოსო, მღვდელს აწირვინეთო, — ამას, რასაკვირველია, ყველას უჯერებენ და დასახარჯაეი ფულის უმეტესი ნაწილი მკითხაეს რჩება ჯიბეში.

ამასთან ისე გამოიკითხაეს ყოველისფერს, ისე შეიტყობს ყოველს გარემოებას, ისე დაფქვევინებს ვისაც რა აქვს გულზედა, რომ ვითამ სულ თვითონა სკოდნოდეს და იმითის კი არა ეთქმევიანებინოს-რა. ახლა მომაველისას მოუყვება, გამლილ ქალადს, ფეტვს და ლობიოს აალაპარაკებს და თითქო თვალთაც დაანახებებს, ასეთი-და-ასეთი ხარო, ესა-და-ეს გაქვსო, ამასა-და-ამას ჰმალაეო და აქედამ ცხადია ესა-და-ეს დაგეპარებო. მაშომტერე-ბულს მსმენელს ისეთი საიდუმლოებით ექცევა, ისეთს უცნაურს ეტყვის, რომ აოცებს ხალხსა და აჯერებინებს, რომ ღვთიური ძალა სწორეთ ამასა ჰქონიაო, მოდი და ნუ ენდობიო! ან ხალხი რა გასამტყუნარია? მუდამ მხოლოთ იმასა ჰხე-

დაეს, რაც გარეშემო არტყია, ყოველთვის მუშაობაში და ჯათაში არის და რა ქნას, სადაც მღვდლებს ურევენ საქმეში და წმინდანებს ახსენებენ, როგორ არ დაიჯეროს!

ჯერ ბუნების მოვლინებაში რამდენი რამ ისეთი საკვირველება არის, რომ ჩვენს ხალხს ჯერ არა თუ არ შეუწავლია, არც-კი გაუგონია — თუ არის რამე ისეთი სწავლა, რომ ამ მოვლინებათ ახსნა შეიძლებოდეს. იმას ყველა თაეისებურათ ესმის. მთვარე თაეის ჩვეულ ფერზედ არ არის, მეტათ წითელია, — რას მოახწავებს ესაო? მიდის მკითხაეთან და მკითხაეი რასაც თაეის სასარგებლოთ არჩევს, იმას ეუბნება. მარსკელაეი მოსწყდა — და მკითხაეი ეუბნება, შენიანი მოკვდება ვინმეო, და რომ არ მოკვდესო, ამდენი ფული გამოიღე, მე შეულოცავ და გადაეარჩენ სიკვდილსაო. ძაცსაც გულს უხეტქს. სასაფლავოცენ მიმალაი გლეხი-კაცი ხედაეს საფლავიდამ ალი ამოდის. ეს რა ვნახე, თქვენი ჭირიმეო, და აი მაშურებს მკითხაეთან; ის უპასუხებს, შენი ესა-და-ეს მიცვალეული საწირავს ითხოვსო და ამასობაში არც მღვდელს აკლდება გამორჩენა.

ზოგნი სამღვდლონი, უეჭველია, ამ გვარი საქმეების მოსპობას ცდილობენ, მაგრამ არც უიშისობაა, რომ ზოგი ყურ-მიყურებითაც არის, — და თუ გამოვლავარაკეთ ამზედ, მე რა მენაღვლება, აწირვინოს-რა, ისევე მე არ შემომიფა ამ წირვისაგან შემოსავალი! ისე არიან, რასაკვირველია, ზოგ-ზოგი, ყველაზედ როგორ ვატყვი.

მადაგათ რო დაეცემა მკითხაეი, მაშინ უყურე ხალხის ალიაქოს! საქონელს ჭირი გაუჩნდა, უნდა ამ-

დენი ფული მომცეო, რამ წმინდანებთან გიშუამდგომლობაში მკითხაეი და ატყაეებს ხალხს.

შეილი გაუჩნდება, ეუბნება ხალხს, წმინდა ბიორგი, სიხმარში მომეჩვენა და წმინდა იოანე დამარქვენაო. ეს წმინდანიო, თაყვანი ეცოთო ასე-და-ასეო, ესე იგი ფულით; — ხალხიც უჯერებს და წმინდა იოანე სოფელში კი დარბის.

აეთ გახდა ვინმე, სამკითხაეოს ართმევს მკითხაეი; ვინ იცის — სად არ გაარბენინებს ავთამყოფს.

ამაზედ მინდა მოგიყვეთ ზოგ-ზოგ მაგალითებს, თუ თაეი არ შეგაწყინეთ.

მართი ყმაწვილი ბიჭი, 23 წლისა, მხნე, ყოჩაღი, სალი, გაცივებულყო მინდორში და ავთა გამხდარყო, შინაურებმა მკითხაეს მიმართეს. ის ეუბნება, არბობს წმინდა ბიორგის მიზეზით არის ავთა და იქ უნდა წაიყვანოთ, ხატის კარზედ ღამე ათეწინოთო, თორემ ხელიდამ წაგივათო. სწორეთ ისე მოიქცენ ავთამყოფის პატრონები: წაიყვანეს მკათათვის სიციხე ჰაპანაქებაში ურმით და აასრულეს მკითხაეის ბრძანება. მერე უარესი ავთამყოფი ისევე მოიყვანეს შინ. ბზაში დალაღულიყო, ურემს დაენჯლია, დაესიცხა და ციებ-ცხელება ასტეხდა. მოვიდნენ თუ არა სახლში, კიდევ დაიწყეს სირბილი მკითხაეთან და იმის წამლებს ახმაურებდნენ. მკითხაეისევე ბრძანებით ავთამყოფს თავზედ ავლებდნენ სამთლებს, მერე უწყამდნენ და ვინ იცის კიდევ რაებს არ ცოდვილობდნენ. როგორც იყო, შევიტყეთ ეს ამბავი, თუმცა კი გვიმალაეოდნენ, რადგან წინა-ღმდგებად გვიცნობდნენ მკითხაეებისა; გაუუკეთეთ საშველი წამლები, რაც კი საჭირო

თვის მეთქვა რამე, მაგრამ ვერა მოვახერხე რა. ჩემი თანამგზავრები უფრო ჩემზე მეტათ იყვნენ შემეკრთალნი: ძოკა პიელღერი სრულიად გადაყვითლებული იყო და ტუჩებიც სულ უთრთოდა; სტეფანელს მოზლიოდა ცრემლები და ჰყლაპავდა, და მალღიე კი სრულიად გონება-შეშლილსა ჰგვანდა.

როდესაც მე ბარიბალდის მის მეგობრის და ერთგულ თანამეგობრის — ძასტელა ცოლსაგან წერილი მიიეცი, ვაიკეთა საათვალეები და მთხოვა, რომ ნება მიმეცა და იქვე ჩემთან წაეკითხა ეს წერილი.

შიდრეს იმ წერილს წაიკითხამდა, მე ვარეთ დრო მქონდა, თაეის სუფლად გამეშინჯა მისი პირისახე. ვერც ერთ მხატვრობას, რომლებიც მთელ ქვეყანაზე ასე გამრავლებულია, ვერ ვადუხატავს ბარიბალდი ნამდვილად. იმან მოხნადა ქუდი და მაშინ უფრო კარგათ შემეძლო გამეშინჯა იმის ღია შუბლი ისეთი თეთრი, როგორც სვილოს ძვალი; თაეზედ ძირელ ცოტათმა ჰქონდა და ისიც სულ ჰქონდა; მშვენიერი, გრძელი თითქმის თვალებამდინ ჩამოშვებული წარბები. პირის-სახეც არა აქვს

წამხდარი; თვალეები შაეი, წამწამები შაეი და გრძელი. იმის ტუჩებზედ რაღაცა საუცხოეო კეთილსულობა იხატება და ძირელ ხშირად მისთანა ღიმილი მოუვა ხოლმე, რომ თვალებსა და შთელს პირისახეს რაღაცა საუცხოეო სიწმინდეს და უმფოთელობას გადასცემს ხოლმე; კბილები თეთრი, მაგარი. შუთანა და კარგათ მოყვანილი ტანისაა, ხელები იმას მშვენიერი ექნებოდა, თითებში რომ ქარები არ გასჩენოდა.

ადლო სტოლზე წერილი და მითხრა:

— მე თქვენი დიდი მადლობელი ვარ ძასტელა ცოლსათვის; ერთი წლის დატუსაღების შემდეგ, პირველად მიადწიეა თქვენმა ხმამ საბყრობილეში იმამდინ; აგრეთვე მადლობელი ვარ ჩემ გარბალდიელებისათვის, რომლებთანაც თქვენ გასაჭირ ღლებს იყოფდით ხოლმე და რომლებიც თქვენ მოიგონეთ ღიჟონთან ყოფნის დროს. იმაზე მეტს თანაგრძობას თქვენ მე ვერ დამიმტკიცებდით, მე იმას ჩემ სიცოცხლეში ვერ დავივიწყებ. შემდეგ ვაიკეთა სათვალე და დიდის ყურადღებით განაგრძელა წერილის კითხვა.

ძასტელა ცოლს, მთელ იტალიაში გამოჩენილ კაცად ირიცხება, როგორც თაეის ლიტერატურული შრომით, — ისა სწერს „Rivolta“-ის პსეოდონიმით, — აგრეთვე იმითი რომ ის 1848 წ. ბარიბალდის განუყრელ მეგობრათა ჰყვანდა და იყოფდა მასთან მკირედ სიხარულს დიდ გაჭირებასა და მწუხარებაში. ბარიბალდი მას დიდის პატივის-ცემით ექცევა. თვითონ ეს ძასტელა ცოლს შეიპყრეს 1867 წ. რომში Hotel Minerva-ში, როდესაც ბარიბალდი მენტანას უახლოვდებოდა. ძასტელა ცოლს უპოვეს ბევრი სხვა და სხვა ქალღლები და პროგრამები, რის გამოც ის წმ. ანტონიოს ციხეში ჩასვეს, სადაც ყოველ საათს სიკვდილს მოელოდა. თუ პრუსიის მმართველობა არ დახმარებოდა, იმას უეჭველად თავს მოსჭრიდნენ. როდესაც ბარიბალდი მარენიანოს საპატიმროდამ განთავისუფლდა, პირველათვე იმისი ახრი ის იყო, რომ თაეის მეგობარზე რამე ცნობები შეეკრთა; იმ დროს მე ყოველთვის გარიბალდიელ დაჭრილებთან ვიყავი ხოლმე, და ამისა გამეო მე უფრო უკეთ ვიცოდი საავთამყოფებისა და საპატიმროს გზები.

ბარიბალდი ერთ თაეის დაახლოვებულ პირს წერილითა სთხოვდა, რომ წავსულიყავე ძასტელა ცოლსთან და საჭირო ნივთები წაველო მისთვის. ამ დროს ციხეში შესვლისთვის და ძასტელა ცოლს ნახვაზედ ბევრი დეიტანჯე. ბოლოს როგორც იყო შეველი. მას აციებდა და არც რამ საცვალი და არც თბილი ჩასაცმელი არა ჰქონდა-რა. ჩემმა ძასტელა ცოლსთან ღაპარაკმა სულ ნახეარ საათი მეტი არ გასწია. ჩვენ ვისხედით მისაღებ ოთახში, რომელიც ყოველ მხრიდამ დაკეტილი იყო, და ჯანდარმები ჰყარაულობდნენ და ყოველ ჩვენ სიტყვას და მოქმედებას ყურს ადევნებდნენ ხოლმე. საცვალი და ტანთ-საცმელი, რომლებიც მე ბარიბალდის თხოვნით უყიდე, სულ ნაკრავებზე ისე დაარღვიეს, რომ მისაღებ ოთახიდან რომ გამოვედი, ციხის ყარაულთანვე ხელმეორედ შევეკრე. მხოლო ძასტელა ცოლს თანამშრომელია რამდენიმე რესპუბლიკურ გაზეთისა და ბევრსაც შრომობს მუშა ხალხის შესახებ.

თარგ. ქ. ღვინიაშვილისა  
(დასახრული შემდეგ №-ში)



ამოვიყვანეთ ექიმი, ძალის-ძალით ვაჩვენებინეთ ავადმყოფი, იმაც ყოველი ღონის-ძიება იხმარა მის მოსაბრუნებელი; მაგრამ ამაოდ. ავადმყოფობა მეტათ გაძვირებული ღირსდა მკითხავის წამლობისაგან. ამდენიმე დღის წინათ რომ დაეხედებოდა ექიმს, მობრუნდებოდა ის უბედური, მაგრამ ახლა იმის მოსვლამის ნურა გტყენია-რა, ჩემო მკითხველო. ბევრი მწარე ჭირსუფლები დასტოვა, მშობლები, შინაურობა და სხვა უბედური საცალო. იმ ხანებში ჯვარის-წერა უნდა ყოფილიყო მკითხველს, მაგრამ დახე რანაირი ვირგინი დაადგმევინა ამ მკითხველს! მათის ცოდვით მთელი ხალხი იწოდება, როდესაც ქორწილის მაგიერ სეთი უბედურება შეემთხვათ... იმ სახლში ამ ექსიოდ თვის წინათ ისევე მკითხავის მეოხებით, ერთი ექი-კაცი დაიღუპა. იქას რაღაც ავადმყოფობა გაუჩნდა, როგორც ზღერე შევიტყუეთ, წყალმანი. ღობ-ტურმა ნახა, მისცა საშველი წამლები და ოპიტილში შესვლა ურჩია. თვითონ ის გლეხი-კაცი თანახმა გახდა და ეპირებოდა კიდევ წავლას, შეძლებაც ჰქონდა იმდენი, მაგრამ გამოუჩნდნენ ისეთი მრჩეველები, რომელნიც სახლში დარჩენას ურჩევდნენ, რადგან შენ საექიმო არა ჰქირს-რაო, უთუოთ ხატის მიზეზ-თაო, მკითხავს ვაკითხვიანთაო, და დაშლევინეს ოპიტილში შესვლა. მკითხავს ჰკითხეს, კაციც თვითონ მიიყვანეს იმასთან და მოუყვა თავისებურათ მკითხავი; მარტო შენ კი არ ხარ ავად შენს სახლშიო, მთელი შენი სახლობა, ცოლი, შვილი, ძროხა, კამბეჩი, წვრილ-ფენი, სულ დედა-ბუღიანათ ავთა ხართო. შევლას ერთ დროს უნდა გიწამლოთო, თორემ ვერ გადარჩებითო. მე კი მომარ-ჩინეო, ის გლეხი-კაცი ეუბნებდა, და სხვებს არა უშევთ-რაო, ისინი კარგათ არიანო, მე ვარ მხოლოდ შეწუხებულიო. მკითხავი უპასუხებს: მე ვიცი მიზეზი რითაც ხართ ყველანი ავადო. აიო, თქვენ სახლთან ერთი ესა-და-ეს ქალი რომ სახლობს, ის კუდიანიაო, როცა შემოგხედავთ, გწყევლისთო და მაშინვე ავთა გხდითო. თუ აპყრით იქილამ და არ აივლით-ჩამოივლით იმის კარზედ, უკეთ გახდებითო. ნურც სახლში გაატარებთ თქვენთანაო. ისეთიანათ გადაჰქიდა მთელი სოფელი იმ საბრალო ქალს, რომ დიდი და პატარა თითით უჩვენებდნენ: „აი სოსიკას მკვლელი მკითხავიო.“

იმ ქალსაც იქამდისინ მიყვანინა საქმე, რომ მშველელბები არ გასჩენოდა, თავის-თავის მოკვლას აპირებდა. მერე იმავე მკითხავმა მისცა რაღაც ბალახ-ბუღიანი ამ გლეხ-კაცს: ეს წამლები სვი ჩემს მოსვლამდისინაო და მე ქალსაც უნდა გამისტუმრო შენის ხარჯით სხვა წამლების მოსატანათაო; შენ იმდენი მანეთი მომეცი, რამდენიც სული შენს სახლში მოიპოვებოდესო, წამლებს ამოვიტან და ყველას ერთათ მოგარჩინათო. ის უბედური კაციც მარჩინის

იმდენ იმდენათ გაჰყოლიყო, რომ მიეცა ფული, რასაც მკითხავი სთხოვდა. წამოვიდა მკითხავი ქალს, ის ფული ღაზათიანათ შექაძა, გამობრუნდა ისევე და ხაშურისამ უთელის: „სოსიკა, შენის ფენით აქ ჩამოდი და შენის ურმით მიიყვანე შინ.“

იმას ეუბნებიან, სადღაა სოსიკა, ჭირსუფლები ზედ დასტირიან და ხელომარხვენ კიდევცაო. — არა, სოსიკას სძინავს და მე რომ ჩემს თვალთ ვნახო,—გალივიძებსსო.

აქე კი მოჰქლა ეს კაცი. იმის ჭირსუფლები ნახობდნენ, რომ ექიმისა არა დაიჯერეს-რა, მაგრამ რაღა დროს!

იმევე ხანებში ერთ ავადმყოფზედ მოიგონა მკითხავმა, რომ ეშპაკი გაუჩნდა ტანშიო და თუ არ გადასახლდითო აქედამ, დაგქამსთო. შინაურები სულ გამოვიდნენ სახლიდამ და სულთ-მობრძავი ავადმყოფი მართო-მარტო დასტოვეს. როცა ჩვენ წამლებს უკეთებდით, მაშინაც არ შედიოდნენ სახლში, ეშპაკი დაგე-ქამსო. ისიც გამოასალმა ამ წუთის-სოფელს მკითხავმა.

რამდენი ამისთანა უბედურება და სიმწარე აქამა ხალხს—ენი მოსთელის. ისინი არა თუ ერთ სოფელში, ყველგან ბუღობენ.

„აქრძალული ხილი ტუბილიაო“ —ნათქვამია; ამაზედაც ასე ითქმის. მკითხავმა აქრძალულია, მაგრამ დღითი-დღე მრავლდებიან და ცრუ-მორწმუნოებას ავრცელებენ უარესათ ხალხში, აბა, მაგით უფრო არ მაგრდება ხალხში ეს დამლუპველი ცრუ-მორწმუნოება? ნამდელი მკურნალობა ამ სენისა ადვილია, თუ გულ-მოდგინებით მოჰქიდეს ხელი მშველელბებს!

მლ. ბაქარაშვილი

### უცხო ქვეყნები

**რუმის ამბავი.** დღე-დღეზე სულ უარესი და უარესი ამბები მოდის ბრძოლის ველიდამ: გუშინაწინ მოვიდა ქალაქში დევეშა, რომ ჩერნოვიცი საშინლად დაამარცხეს ოსმალებმა, თავის საკუთარი ჯარისკაცებთან ერთად იმასაო და გამოუტყდადესო, რომ თქვენი სარდლობა აღარ გვინდაო. იგივე დევეშა გეცნობებს, რომ დიუნაშის სიმაგრის აღების შემდეგ ოსმალებმა წინ წაიწიეს და დღეს თუ ხელომარწმუნოებასაც და შემდეგ მნიშვნელოვანაც აიღებენო.

მართის სიტყვით, უკანასკნელი ტელეგრაფებშიდამ ის ცხადი ჰაზრი გამოდის, რომ მარტო სერბიელებს ბრძოლით ვერაფრის გარიგება ვეღარ შეუძლიანთ, თუ სხვა რამ სახსარი არ ამოუჩნდათ.

მს სახსარი ან მეროპის მმართველობების გარეგან მოსარჩევლათ ან მეროპიული ომია და ამის თაობაზედაც აი რასა სწერენ „მმართველობის მოაბეში“:

„ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება ბრძანება, რომ ღენერალ-ად-უტანტმა იგნატიევმა (რუსის ელჩმა ოსმალეთში) გამოუტყდადოს ოსმალეთს მმართველობას, რომ, თუ ორი დღის განმავლობაში არ მიიღებს ექვსი კვირისა ანუ ორი თვის დრო-ებით მორიგებას და თუ ახლავე არ გასცემს ბრძანებას, რომ ბრძოლა შესწყდეს სერბიაში, მაშინ ის (ელჩი)

მთელ თავის საეღოთი გამოეცა სტამბოლიდამ და დიპლომატიური კავშირი რუსეთსა და ოსმალეთს შუამოისპობა.“

როგორც ჰხედავთ, საქმე ისეთ ნაირად მიდის, რომ, ვინ იცის, როდესაც მკითხველი ამ ნომერს მიიღებს, მაშინ იქნება იმისი შედეგი გამოცხადებულიც იქნეს.

### ისტორია

#### თეოფილაქტე რუსანოვი

პირველი მკვარხისი საქართველოსა \*) (1765—1820) (ზაგრაძელება)

შველა ეს ამბები შეიტყო იმპერატორმა ალექსანდრე პავლეს ძემ და ერთ დროს, სხვათა შორის, აგრძობინა ამგონის. ახალგაზდა ობერ-პროკურორმა თ. ბალიცინმა დაიჭირა სულ მრთელი სასულიერო წოდების საქმე ხელში.

ამგონის საუბედუროდ იყო ამ დროს მიწოდებული თეოფილაქტე პეტერბურღში, რომელიც არხიმანდრიტობის დროსაც დიდი საშინო იყო მისთვის. თეოფილაქტე რეაწლის განმავლობაში ძლიერ გამოიცადა და ყველაფერი გაიგო. პეტერბურღში რომ მოვიდა, აქ დახვდა მას ერთი კარგი თავისი მეგობარი სპერანსკი დიდად მიღებული ხელმწიფისაგან. ამასთან ობერ-პროკურორი ბალიცინიც უფრო მისი ერთგული იყო. თვითონ თეოფილაქტეც, გაეცნო მრავალ პირს პეტერბურღში. მინც ვერ ცნობდა თეოფილაქტეს იმათაც გაიკენეს იგი ქადაგებაებით.

უპირაველს ჩვენთ მკადაგებლებთ თავის ქადაგებების საგნებად აქვსთ აღებული დოღმატიკური სწავლა, რომელიც თვითონ კარგათ არ ესმისთ, ანუ ანგელოზებრივი და ასკეტიკური ცხოვრება, რომელსაც თვითონაც იშვითად ასრულებენ. თეოფილაქტე ასე არ ქადაგებდა: ის ხანდისხან ამ ქვეყნიურ და პოლიტიკურ საგნებზედაც კი დაიწყებდა ქადაგებას, რომელნიც დიურ ინტერესს შეადგენდა ყველა პირათთვის.

ისე წაიყვანა თავისი თავი და საქმე თეოფილაქტემ, რომ ბოლოს იმპერატორმაც კი გაიკნო ის კარგის მხრით და ყავდა იგი მხედველობაში, როგორც ნიჭიერი და კარგი მცოდნე პირი. როგორც თეოფილაქტეს სახელი დიდდებოდა და გრცელდებოდა, ამგონის სახელი ისე იწვედა ძირს საზოგადოების თვალში.

რალა აკლდა თეოფილაქტეს? იმას ამ დროს იმისთანა ძლიერი პარტია ყავდა, რომ ბევრი ცდა არ სჭიროდა, რომ ამგონის ადგილზე შესულიყო და პირველ პირად გამხდარიყო სასულიერო წოდებაში; მაგრამ მისი ხასიათი არ გავდა სხვების ხასიათს. ის მოდგა და დაუწყო მუშაობა ერთად სპერანსკისთან მაშინდელ სასწავლებლის წესდების პროექტს. მათი შედეგნილი იმ დროისათვის სასწავლებლის წესდება ძლიერ საქები იყო მაშინაც ცდილობდნენ ისინი, რომ სემინარიის და აკადემიის შაგირდებს მისცემოდა ყოველ მხრივი განათლება და არა მარტო ღეთის-მეტყველობის სწავლა. იმ დროსაც სცდილობდნენ, რომ რეკტორები და ინსპექტორები სემინარიებში და აკადემიებში კენჭის-ყრით ყოფილიყვნენ აღჩეუნი, არა მარტო ბერებთაგან, არამედ მღვდელთაგანაც. ზოგიერთ ნაწილში მაშინდელი შედ-

გნილი სასწავლებლის წესდება ზედ-რად სჯობია ეხლანდელს წესდებას. დღეს სასწავლებლის ბუნდმდელი მთავრებზე არის დამოკიდებული და ვინც მიაქცევს ყურადღებას მათ დიდ მოვალეობას და სხვა და სხვა საქმეებს, ის კარგად მიხედება—თუ როგორ წავა სასწავლებლის საქმე დღეს. მაშინდელი შედეგნილი სასწავლებლის წესდების ძალით ყველა სემინარიის სამმართველოებს შეეძლოთ პირ-და-პირ საქმე დაეკითხათ აკადემიის სასამართლოსთან და ეხლათ ეს გზა დახურულია არქიელის უფლებით.

ერთ დროს თეოფილაქტე იყო გადაყვანილი რიასანის ეპარხიაში. აქ, მართალია, იყო სასულიერო სემინარია, მაგრამ ძლიერ ცუდ მდგომარეობაში დახვდა როგორც ეკონომიურად, ისე სწავლით. შაგირდები ძლიერ ღარიბათ და ცუდათ იყვნენ შენახულნი და მასწავლებლებიც მათ არ ყავდათ ხეირიანი, და რასაკვირველია, შაგირდებიც ძლიერ უსწავლელნი გამოდიოდნენ. თეოფილაქტე მივიდა თუ არა, მაშინვე მიაქცია ყურადღება ამ სემინარიას და საეპარხიო საქმეებს. მკირეს ხანში სემინარია ფეხზე დაყენა, როგორც ეკონომიურად ისე სწავლით. ხშირად მისთანა დროს მოვიდოდა სემინარიაში, როდესაც მის მოსვლას არავინ არ ფიქრობდა. ის მალე დაუახლოვდა მასწავლებლებს და შაგირდებს და მკირეს ხანში მოიგო ყველას გული. შოველ დროს დღისით და ღამით დაიარებოდა ბურსში, სადილის საქმელ ოთახში, როდესაც შაგირდები დამსხდარნი იქმნებოდნენ, საცად ოთახებში შაგირდებს დაუწყებდა ზოლმე ბაასობას. შაგირდები მასთან უფრო გაბედვით ლაპარაკობდნენ და გამოტყნილად, ვინემ თავის უფროსებთან.

ერთ დროს საღამოზე მოვიდა სემინარიაში; ერთ საცად ოთახში რალაც ხმაურობა შეაძინა და გაუღებელ კარებთან ამოეფარა და დაუწყო ყურება—თუ რას ჩადიოდნენ შაგირდები. ამ დროს ერთი შაგირდი სცემდა მეორეს და ძლიერ ძალა რომ დააქენა, სუსტი შაგირდი გარეთ გამოვარდა; ის, რომელიც სცემდა არ მოეშვა და გარეთ გამოყვა. რადგან ვეღარ ნახა ეს გამოგყეული შაგირდი ბნელაში, ისე დაბრუნდა ოთახში, მაგრამ კარგებს რომ მიულოვდა, რალაცა შენიშნა ხელით. მას ის გაქცეული შაგირდი ეგონა და სემინარიულად დაუწყო მას მუშტის ცემა. არქიერმა გამოიჩინა თავის ხმა; შაგირდი გაიქცა და ოთახში შევიდა. თეოფილაქტე შევიდა ოთახში და უბრძანა მათ სანთლის ანთება. პირველათ გიმნასტიკაზე დაუწყო მათ ლაპარაკი და ბოლოს იმ შაგირდს მიუბრუნდა და უთხრა: „აბა, ვინ იყო მე რომ კარებთან მუშტს მიტყამდა?“ დამნაშავეს შეეძლო თავის დაფარვა, მაგრამ თვითონ გამოტყდა და მოახსენა—თუ როგორ მოუხდა ეს მას.“ არაფერია, არაფერია, უთხრა თეოფილაქტემ, რატომ არ უნდა ითამაშო? მაგრამ შენ ძლიერი მუშტის რტყმევა გცოდნია!“

მეორე დროს მოესწრო შაგირდებს ნავსმშვეს; ყველანი ძლიერ მოწყენილნი იყვნენ. „რა დგმართით, უთხრა თეოფილაქტემ, რათ ხართ აგრე მოწყენილნი? აი თქვენ რომ რამე დაუკრათ ეხლა, კარგი იქმნება.“—არაფია, მაგრამ რეკტორი ნებას არ გვაძლევს, უთხრის შაგირდებმა. მეორე დღეს მისცა ნება მუშტი-კალურის ინსტრუმენტების სყიდვისა.

\*) იხილეთ „დროება“ № 85 და 94



